

„კორპორაცია ქინძმარაული“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები	9

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაულის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 28 სექტემბერს:


ნუზარ ქსოველი

გენერალური დირექტორი


სოფო ბილანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაულის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „კორპორაცია ქინძმარაულის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, ამ დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

1. ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 8,029,164 ლარის და 7,205,788 ლარის ოდენობით, შესაბამისად. შედეგად, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. უმაღლესი ხელმძღვანელობის წლიური პრემია, რომელიც გამოითვლება წლიური მოგების საფუძველზე, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო 591,768 ლარის და 215,291 ლარის ოდენობით, შესაბამისად (გ/შენიშვნა 6). შესაბამისი ვალდებულება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 978,736 ლარის და 763,058 ლარის ოდენობით, შესაბამისად (გ/შენიშვნა 18). 1-ლ პარაგრაფში აღწერილი მიზეზით და აგრეთვე იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულების დარჩენილი ნაწილი გამოთვლილი იყო 2015 წლის 1 იანვრამდე (IFRS-ზე გადასვლის თარიღამდე) პერიოდების არააუდიტირებული მოგების საფუძველზე, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა აღნიშნული თანხების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ამ დასკვნის ნაწილში: „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, ვაკმაყოფილებთ ამ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ და საქართველოში არსებულ მოთხოვნებს. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით, შედეგად, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ასევე უმაღლესი ხელმძღვანელობის წლიური პრემიასთან დაკავშირებით, რომელიც გამოითვლება წლიური მოგების საფუძველზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

მენეჯმენტის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება

გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკვრიფავთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მდებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“

2018 წლის 28 სექტემბერი




კორპორაცია ქინძმარაული ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	გ/შ	2017	2016, რეკლასიფ.
საოპერაციო შემოსავალი	5	13,714,558	9,209,954
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(5,842,873)	(4,258,256)
საერთო მოგება		7,871,685	4,951,698
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	12	530,764	-
სადისტრიბუციო ხარჯები	6	(126,557)	(141,440)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3,466,245)	(2,671,478)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	7	335,915	574
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა		207,486	280,951
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(27,130)	(49,134)
მოგება დაბეგვრამდე		5,325,918	2,371,171
მოგების გადასახადის ხარჯი	9	-	(433,551)
წლიური მოგება		5,325,918	1,937,620

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 28 სექტემბერს.



ნუგზარ ქსოვრელი

გენერალური დირექტორი




სოფო ბილანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გ/შ	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	18,417,060	17,827,295
საინვესტიციო ქონება	11	150,700	150,700
არამატერიალური აქტივები		19,603	23,065
		18,587,363	18,001,060
მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები	12	112,892	40,476
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	8,029,164	7,205,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	6,959,115	5,169,205
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	2,424,573	207,875
		17,525,744	12,623,344
სულ აქტივები		36,113,107	30,624,404
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	2,361,000	2,361,000
გაუნაწილებელი მოგება		29,637,184	24,311,266
		31,998,184	26,672,266
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	726,663	787,148
		726,663	787,148
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	17	1,538,235	776,478
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	1,850,025	2,388,512
		3,388,260	3,164,990
სულ ვალდებულებები		4,114,923	3,952,138
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		36,113,107	30,624,404

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 28 სექტემბერს.


ნუგზარ ქსოვრელი

გენერალური დირექტორი


სოფო ბილანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

კორპორაცია ქინძმარაული ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,361,000	22,373,646	24,734,646
წლიური მოგება	-	1,937,620	1,937,620
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,361,000	24,311,266	26,672,266
წლიური მოგება	-	5,325,918	5,325,918
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,361,000	29,637,184	31,998,184

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 28 სექტემბერს.



ნუზარ ქსოვრელი

გენერალური დირექტორი



სოფო ბილანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

კორპორაცია ქინძმარაული ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	5,325,918	2,371,171
კორექტირებები:		
- ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(530,764)	-
- ცვეთა და ამორტიზაცია	571,304	565,225
- საპროცენტო ხარჯი, წმინდა	27,130	49,134
- გაუფასურების ზარალი	199,221	269,130
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	(1,989,131)	(2,086,185)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა/(შემცირება)	(292,612)	93,799
ბიოლოგიური აქტივების ზრდა/(შემცირება)	(72,416)	(40,476)
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	(482,425)	771,600
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	2,756,225	1,993,398
გადახდილი პროცენტი	(27,130)	(49,134)
გადახდილი გადასახადები	-	(433,551)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	2,729,095	1,510,713
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,213,669)	(1,080,238)
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	(55,200)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,213,669)	(1,135,438)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან სესხების (დაფარვა)/მიღება	701,272	(538,493)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	701,272	(538,493)
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	2,216,698	(163,218)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	207,875	371,093
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,424,573	207,875

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 28 სექტემბერს.



ნუჯარ ქსოვრელი

გენერალური დირექტორი



სოფო ბილანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კორპორაცია ქინძმარაული (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები (გ/შ 2.4 კონსოლიდაციის საფუძველი) ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება. კომპანიას აქვს საკუთარი ვენახები და ღვინის ქარხანა ყვარელში, კახეთის რაიონი - ქართული ღვინის წარმოების ცენტრი. ჯგუფი აგრეთვე ფლობს ჰიდროელექტრო სადგურს („ჰესი“) ყვარელთან ახლოს და ჰოტელს ყვარელში.

კომპანიის აქციონერები არიან:

	2017	2016
თამაზ კონჭოშვილი	43.21%	43.21%
ეკატერინე ამირანაშვილი	23.91%	23.91%
სიმონ ტუგუნიძე	11.38%	11.38%
ალექსანდრე ბილანიშვილი	9.35%	9.35%
ელგუჯა ცირიკაშვილი	5.93%	5.93%
სხვა აქციონერები	6.22%	6.22%
	100.00%	100.00%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ჯგუფი წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების

განმარტებითი შენიშვნები

მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. IFRS 9 *ფინანსურ ინსტრუმენტებს*, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან, შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა ამ ეტაპზე, დეტალური განხილვის დასრულებამდე, ამ გავლენის შეფასება არაპრაქტიკულია.

2.3. კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მისი შვილობილების შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებს და ვალდებულებებს.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს, ყველა მათგანი ფუნქციონირებს საქართველოში:

დასახელება	კომპანიის წილი		ბიზნესი
	2017	2016	
შპს კონჭო და კომპანია	100%	100%	ღვინის წარმოება
შპს კახეთი-კ	100%	100%	ღვინის წარმოება
შპს შატო ყვარელი	100%	100%	ჰოტელის და რესტორნის მართვა

2.4. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების უფლების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად, დღგ).

განმარტებითი შენიშვნები

2.5. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში:

- | | |
|---------------------------------------|---------------------------|
| • მსხმოიარე ნარგავები: ვაზის ვენახები | 3.33% წრფივად |
| • შენობა-ნაგებობები | 2% წრფივად |
| • მანქანა-დანადგარები | 15-20% შემცირებადი ნაშთით |
| • ჰესი | 4% წრფივად |
| • სხვა | 20% შემცირებადი ნაშთით |
| • მიწა არ იცვითება | |

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.6. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა არ იცვითება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

განმარტებითი შენიშვნები

2.7. არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.8. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდიდებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.9. ბიოლოგიური აქტივები (გარდა მსხმოიარე ნარგავებისა)

ბიოლოგიური აქტივები (ყურძენი) თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით (მინუს გაყიდვის ხარჯი).

მოსავლის აღების (რთველის) შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტი (ყურძენი) წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალურ მარაგს და თავდაპირველად აღიარდება რთველის დროს არსებული სამართლიანი ღირებულებით (მინუს გაყიდვის ხარჯი), რაც განისაზღვრება ლოკალური საბაზრო ფასით.

მოგება, რომელიც წარმოიქმნება ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით (მინუს გაყიდვის ხარჯი) ან ამ ღირებულების ცვლილებით, აღიარდება მოგება-ზარალში (ბიოლოგიური ტრანსფორმაციის ხარჯის გამოკლებით).

2.10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მომძველებელი მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

განმარტებითი შენიშვნები

2.11. ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ ჯგუფის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

განმარტებითი შენიშვნები

2.12. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა (ლიზინგი) თუ მფლობელობასთან დაკავშირებული რისკები და უკუგება მნიშვნელოვანწილად გადადის მოიჯარესთან. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის საიჯარო გადასახდელები აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით, საიჯარო პირობების შესაბამისად.

2.13. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით.

2.14. სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტი აღიარდება, როცა მისი მიღების პირობები დაკმაყოფილებულია და არსებობს გონივრული რწმუნება, რომ მოხდება გრანტის მიღება. უკვე გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად მისაღები გრანტი, რომელიც არაა დაკავშირებული მომავალში დასაკმაყოფილებელ მოთხოვნებთან, აღიარდება მოგება-ზარალში.

2.15. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD	EUR
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წელს	2.51	2.83
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს	2.65	2.79
საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წელს	2.37	2.62
გაცვლითი კურსი 2015 წლის 31 დეკემბერს	2.39	2.62

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.16. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამოუმუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს არ არსებობს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი.

განმარტებითი შენიშვნები**2.17. ანარიცხები (რეზერვები)**

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ანგარიშგების მომზადებისას არ არის გამოყენებული ისეთი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ ფინანსურ წელიწადში აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ნაშთების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკთან. თუმცა, მენეჯმენტს მოუწია მნიშვნელოვანი დაშვებების გაკეთება გაუფასურებულ სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით (გ/შ 14).

4. რეკლასიფიკაციის გავლენა შესადარის ინფორმაციაზე

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს, ჯგუფმა კონსოლიდაციის პროცესში შეცდომით გაქვითა „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება“ ნაცვლად „სადისტრიბუციო ხარჯებისა“. ბასს 8-ის შესაბამისად, ჯგუფმა შეცდომა გაასწორა რეტროსპექტულად. შედეგად მიღებული რეკლასიფიკაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ამონარიდი)	ადრე წარმოდგენილი 2016	რეკლასი- ფიკაცია	რეკლასი- ფიცირებული 2016
საოპერაციო შემოსავალი	9,209,954	-	9,209,954
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,146,356)	(111,900)	(4,258,256)
საერთო მოგება	5,063,598	(111,900)	4,951,698
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-	-
სადისტრიბუციო ხარჯები	(253,340)	111,900	(141,440)
საერთო და ადმინ. ხარჯები	(2,671,478)	-	(2,671,478)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	574	-	574
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	280,951	-	280,951
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(49,134)	-	(49,134)
მოგება დაბეგვრამდე	2,371,171	-	2,371,171

განმარტებითი შენიშვნები

5. საოპერაციო შემოსავალი

	2017	2016
ღვინის და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	12,274,570	7,824,710
ჰოტელის და რესტორნის შემოსავალი	785,001	607,470
ელექტროენერგიის რეალიზაცია	331,213	554,210
სხვა	323,774	223,564
	13,714,558	9,209,954

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ინფორმაციას ღვინის და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის შესახებ ქვეყნების მიხედვით:

	2017	2016
საქართველო	3,730,288	1,675,026
უკრაინა	1,856,307	1,649,215
ჩინეთი	1,482,667	177,961
ბელარუსი	1,428,928	793,950
ყაზახეთი	904,325	1,009,226
რუსეთი	797,798	598,621
ევროკავშირი	631,959	463,736
იაპონია	525,535	601,190
კანადა	492,929	298,874
აშშ	423,834	556,911
	12,274,570	7,824,710

6. ხარჯების გაზიფვრა მათი ბუნების მიხედვით

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების, სადისტრიბუციო და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ბუნების მიხედვით.

	2017	2016
გამოყენებული მარაგები (კაპიტალიზირებული ხელფასების და ცვეთის გარდა)	4,732,848	3,281,501
ხელფასები	2,300,067	1,830,805
უმაღლესი ხელმძღვანელობის წლიური ბონუსი	591,768	215,291
ცვეთა და ამორტიზაცია	571,304	565,225
საექვო მოთხოვნების ჩამოწერა და ანარიცხი	199,221	269,130
მარკეტინგი	176,111	124,405
ქონების გადასახადი	128,583	101,779
ტრანსპორტირება	126,557	141,440
სხვა	609,216	541,598
სულ რპთ, სადისტრიბუციო და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9,435,675	7,071,174

განმარტებითი შენიშვნები

7. სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა

	2017	2016
სახელმწიფო გრანტი ყურძნის შესაძენად	227,293	-
აქტივების აღიარება	123,622	-
სეტყვით დაზიანებული ყურძნისთვის ანაზღაურება მზღვეველისგან	-	574
დონაცია	(15,000)	-
	335,915	574

8. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2017	2016
საპროცენტო ხარჯი ბანკის სესხებზე	151,024	210,881
სახელმწიფო გრანტი - აგრო სესხების დაფინანსება	(123,894)	(161,747)
	27,130	49,134

9. მოგების გადასახადის ხარჯი

როგორც აღინიშნა გ/შენიშვნა 2.16-ში, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს არ არსებობს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი.

საგადასახადო ხარჯის რეკონსილაცია:

	2017	2016
მოგება დაბეგვრამდე	5,325,918	2,371,171
თეორიული მოგების გადასახადი 0% (2016: 15%)	-	355,676
მუდმივი და დროებითი სხვაობები	-	77,875
მოგების გადასახადის ხარჯი	-	433,551
	-	18%

კორპორაცია ქინძმარაული ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მსხმოიარე ნარგავები: ვაზის ვენახები	შენობა-ნაგებ.	მანქანა- დანად.	ჰესი	დაუმთ. მშენებ.	სხვა	სულ
ღირებულება								
1 იანვარი 2016	4,929,478	3,810,163	6,803,596	2,018,192	1,070,800	212,938	719,220	19,564,387
შეძენა	61,504	-	-	278,661	-	397,053	101,457	838,675
31 დეკემბერი 2016	4,990,982	3,810,163	6,803,596	2,296,853	1,070,800	609,991	820,677	20,403,062
შეძენა	23,462	-	189,512	483,536	-	313,019	150,129	1,159,658
ტრანსფერი	-	-	370,958	-	-	(370,958)	-	-
გასვლა	-	(3,772)	-	-	-	-	-	(3,772)
31 დეკემბერი 2017	5,014,444	3,806,391	7,364,066	2,780,389	1,070,800	552,052	970,806	21,558,948
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2016	-	126,773	137,788	1,269,248	47,226	-	433,577	2,014,612
პერიოდის ცვეთა	-	128,708	138,805	169,928	47,225	-	76,489	561,155
31 დეკემბერი 2016	-	255,481	276,593	1,439,176	94,451	-	510,066	2,575,767
პერიოდის ცვეთა	-	126,880	141,327	174,625	47,416	-	77,595	567,843
გასვლა	-	(1,722)	-	-	-	-	-	(1,722)
31 დეკემბერი 2017	-	380,639	417,920	1,613,801	141,867	-	587,661	3,141,888
ნარჩენი ღირებულება								
1 იანვარი 2016	4,929,478	3,683,390	6,665,808	748,944	1,023,574	212,938	285,643	17,549,775
31 დეკემბერი 2016	4,990,982	3,554,682	6,527,003	857,677	976,349	609,991	310,611	17,827,295
31 დეკემბერი 2017	5,014,444	3,425,752	6,946,146	1,166,588	928,933	552,052	383,145	18,417,060

განმარტებითი შენიშვნები

მიწა, ვაზის ვენახები, შენობები და ჰესი შეფასდა IFRS-ზე გადასვლის თარიღში და კომპანიამ გამოიყენა შეფასებული სამართლიანი ღირებულება ამ აქტივების აღიარებისთვის 2015 წლის 1 იანვარს.

ჯგუფის ქონების ძირითადი ნაწილი დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად.

ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

11. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება შედგება ამბროლაურის და მცხეთის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთებისგან.

12. ბიოლოგიური აქტივები

	2017	2016
ყურძენი	95,969	29,828
თხილი	16,923	10,648
	112,892	40,476

ქვემოთ წარმოდგენილია ყურძნის ღირებულების რეკონსილაცია:

1 იანვარი 2016	-
დარგული	457,909
მოკრეფილი	(428,081)
31 დეკემბერი 2016	29,828
დარგული	629,330
ყურძნის სამართლიანი ღირებულების ცვლილება	536,593
მოკრეფილი	(1,099,782)
31 დეკემბერი 2017	95,969

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2017	2016
ნედლეული და მასალები	1,938,955	1,476,073
სითხეები	5,530,534	5,079,525
დაუმთავრებელი პროდუქცია	343,781	427,184
მზა პროდუქცია	185,034	198,784
სხვა	30,860	24,222
	8,029,164	7,205,788

მარაგები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

განმარტებითი შენიშვნები

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017	2016
სავაჭრო მოთხოვნები	7,040,742	5,566,684
გაუფასურების რეზერვი	(784,348)	(724,149)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	6,256,394	4,842,535
გადახდილი ავანსები	405,888	185,670
საგადასახადო აქტივი, წმინდა	296,833	141,000
	6,959,115	5,169,205

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება:

1 იანვარი 2016	503,022
პერიოდის რეზერვის ხარჯი	221,127
31 დეკემბერი 2016	724,149
პერიოდის რეზერვის ხარჯი	60,199
31 დეკემბერი 2017	784,348

მოთხოვნების რეზერვის და ჩამოწერის ხარჯი არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი მოგება-ზარალში.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017	2016
ფული სალაროში	36,822	18,889
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,387,751	188,986
	2,424,573	207,875

16. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება ნებადართული და განთავსებული 45,000 ჩვეულებრივი აქციისგან, 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 52.47 ლარი. აქციონერები წარმოდგენილია გ/შ 1 ზოგადი ინფორმაციაში.

განმარტებითი შენიშვნები

17. მიღებული სესხები

	%	2017	2016
გრძელვადიანი სესხები სს „პროკრედიტ ბანკისგან“	11	726,663	-
გრძელვადიანი სესხები სს „თიბისი ბანკისგან“	13	-	787,148
სულ გრძელვადიანი სესხები		726,663	787,148
გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი	11	247,927	776,478
მოკლევადიანი სესხები სს „პროკრედიტ ბანკისგან“	11	1,290,308	-
სულ მოკლევადიანი სესხები		1,538,235	776,478
სულ სესხები		2,264,898	1,563,626

საქართველოს მთავრობა აფინანსებს სარგებლის 8%-ს და ჯგუფი იხდის დანარჩენ 3%-ს.

მიღებული სესხების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

დამატებითი ინფორმაცია მიღებულ სესხებზე წარმოდგენილია მე-19 გ/შენიშვნაში *ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე*.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017	2016
სავაჭრო ვალდებულებები	699,190	1,160,667
ვენახების შეძენისას წარმოქმნილი ვალდებულებები	-	56,062
უმაღლესი ხელმძღვანელობის წლიური პრემია	978,736	763,058
გადასახდელი / (ავანსად გადახდილი) ხელფასები	(31,589)	135,899
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	12,240	70,658
მიღებული ავანსები	191,448	202,168
	1,850,025	2,388,512

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

განმარტებითი შენიშვნები

19. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ჯგუფი ექვემდებარება მხოლოდ სავალუტო რისკს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)
ფული და ფულის ეკვივალენტები

2017	2016
7,743,463	5,893,354
2,424,573	207,875
10,168,036	6,101,229

ფინანსური ვალდებულებები

სესხები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2017	2016
2,264,898	1,563,626
1,850,025	2,388,512
4,114,923	3,952,138

განმარტებითი შენიშვნები

საკრედიტო რისკი

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით. არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	2017	2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	7,743,463	5,893,354
ფული ბანკში	2,387,751	188,986
	10,131,214	6,082,340

გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე-14 გ/შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სესხები	1,538,235	726,663	-	2,264,898
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,850,025	-	-	1,850,025
31 დეკემბერი 2017	3,388,260	726,663	-	4,114,923

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სესხები	776,478	617,065	170,083	1,563,626
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,388,512	-	-	2,388,512
31 დეკემბერი 2016	3,164,990	617,065	170,083	3,952,138

ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

განმარტებითი შენიშვნები**სავალუტო რისკი**

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	2,363,583	4,025,914	1,353,966	7,743,463
ფული და ფულის ეკვივალენტები	378,558	1,467,040	578,975	2,424,573
31 დეკემბერი 2017	2,742,141	5,492,954	1,932,941	10,168,036

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	1,882,216	3,068,550	942,588	5,893,354
ფული და ფულის ეკვივალენტები	91,184	70,774	45,917	207,875
31 დეკემბერი 2016	1,973,400	3,139,324	988,505	6,101,229

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	2,264,898	-	-	2,264,898
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,553,607	186,226	110,192	1,850,025
31 დეკემბერი 2017	3,818,505	186,226	110,192	4,114,923

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	583,570	980,056	-	1,563,626
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,980,154	186,075	222,283	2,388,512
31 დეკემბერი 2016	2,563,724	1,166,131	222,283	3,952,138

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის მოგებას 530,672 ლარით (2016: 197,319 ლარით), ხოლო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის მოგებას 182,275 ლარით (2016: 76,623 ლარით).

განმარტებითი შენიშვნები

20. დაკავშირებული მხარეები

	2017	2016
<i>ტრანზაქციების ოდენობა:</i>		
გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	338,942	228,985
გაყიდვები საკვანძო მენეჯერებზე	12,211	29,507
შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	-	32,481
შესყიდვები საკვანძო მენეჯერებისგან	55,484	66,497
საკვანძო მენეჯმენტის ანაზღაურება	1,241,824	812,497
<i>ნაშთები 31 დეკემბერს:</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	471,214	421,662
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საკვანძო მენეჯერებისგან	24,985	21,879
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	10,820
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საკვანძო მენეჯერებისადმი	867,612	879,493

ზემოთ წარმოდგენილი ტრანზაქციები შესრულდა იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებთან.

21. სასამართლო დავები

მინორიტარი აქციონერი ეკატერინე ამირანაშვილი (გ/შ 1 ზოგადი ინფორმაცია) ითხოვს დივიდენდებს 1,020,930 აშშ დოლარის ოდენობით და მათზე დასარიცხ სარგებელს 387,218 აშშ დოლარის ოდენობით. მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა 2015 წელს. მოსმენა დანიშნულია 2018 წლის 4 ოქტომბერს.

ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ სასამართლო არ დააკმაყოფილებს აღნიშნულ სარჩელს.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 28 სექტემბერს.

2018 წლის ივლისში და აგვისტოში ჯგუფმა გასცა დივიდენდები 242,280 ლარის ოდენობით.

2018 წლის 31 აგვისტოს ჯგუფმა შეიძინა სასტუმრო სილნაღში 450,000 აშშ დოლარად სს „ბაზის ბანკისგან“.

2018 წლის აგვისტოში და სექტემბერში ჯგუფმა მიიღო სესხები სს „პროკრედიტ ბანკისგან“ 1,300,000 ლარის ოდენობით.

სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაული“

მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2017 წელს გაწეული სამუშაოს შედეგების მიხედვით

შინაარსი

I. საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგების ადამდგომარეობის აღწერა	3
II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა	3
III. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.....	4
IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადინაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	8
V. ანგარიშის საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ	11
VI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა	11
VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრებების უფლებების დამათი განხორციელების წესების მიმოხილვა	11

I. საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგების ადამღგომარეობის აღწერა

სააქციო საზოგადოება კორპორაცია „ქინძმარაულის“ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც თავად სს კორპორაცია „ქინძმარაულს“, ასევე მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს.

კორპორაცია „ქინძმარაულის“ მოქმედი შვილობილი საწარმოების შესახებ:

- შპს „კონჭო და კომპანია“, ს/ნ 241565702, მისამართი ქ. ყვარელი ერეკლე მეორეს ქ.#10. საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- შპს „კახეთი-კ“, ს/ნ 241569209, მისამართი ქ. ყვარელი კუდიგორის ქ.#2. საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- შპს „შატო ყვარელი“, ს/ნ 441555988, მისამართი ქ. ყვარელი კუდიგორის ქ.#1ა. საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.

თავად სს კორპორაცია „ქინძმარაული“, ს/ნ 241557409, მისამართი ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ.# 55, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს შეადგენს: სოფლის მეურნეობა-ძირითადად მევენახეობა; ყურძნის წარმოება-გადამუშავება; ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ბრენდის წარმოება - რეალიზაცია. აგრეთვე საწარმოს ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება.

საწარმოს ერიცხება საკუთარი ჰიდროელექტროსადგური, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 1,5 მეგავატია.

საზოგადოება შვილობილი საწარმოების ჩათვლით აწარმოებს ღვინის, ბრენდის რეალიზაციას ექსპორტზე და ადგილობრივ ბაზარზე.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო 2017 წელს საზოგადოების განვითარების შედეგებს პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით წარმატებულად აფასებს. საზოგადოებამ 2017 წელიწადი დაასრულა 5,325,918 ლარი მოგებით, რაც გასული წლის მაჩვენებელზე მეტია 175%-ით.

საანგარიშო წელს სამეთვალყურეო საბჭოს მთელი საქმიანობა აქციონერთათვის გამჭვირვალედ რჩებოდა, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ყველა ოქმი ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი აქციონერისათვის, მისი მოთხოვნის შესაბამისად.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო და საზოგადოების მენეჯმენტი უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლოტიკას.

II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საზოგადოება ორიენტირებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოებაზე და კეთილმოწყობაზე. ამასთან სხვადასხვა ტურისტული ობიექტების მშენებლობა - შეძენა;
- საექსპორტო ქვეყნების და პარტნიორების მოძიებასაექსპორტო პორტფელის დივერსიფიკაციის

მიზნით;

- პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა და კონტროლი.

რაც შეეხება საინვესტიციო საქმიანობას - საზოგადოება ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე.

2017 წელს საზოგადოებამ განახორციელა საინვესტიციო დაბანდებები თანხით 1,207,0446 ლარი, მათ შორის შევეხებით ძირითადებს:

- მიწის ნაკვეთები - 23,462 ლარის;
- შენობები - 560,470 ლარის, მათ შორის: ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის 90,796 ლარის; ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ღვინის სახლის სამაცივრე 346,570 ლარის;
- ვენახის წვეთოვანი სისტემები - 138,242 ლარის;
- ცისტერნები და კასრები - 265 ათასი ლარის;
- მანქანა დანადგარები - 62 400 ლარის;

2017 წელს პროექტების და დაფინანსების წყარო იყო საზოგადოების გასული პერიოდის მოგების ნაწილი, მოზიდული სახსრები და ამორტიზაციის ფონდი.

მომდევნო უახლოესი პერიოდის - 2018 წლიდან საზოგადოების საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია:

- ახალი სადულარი განყოფილების მშენებლობა, სადულარი ცისტერნების შეძენა და მონტაჟი - 1 მლნ ლარი;
- მაცივრის შეძენა და ორთქლის ქვების შეძენა - 250 ათასი ლარის;
- 9,5 ჰა ვენახის გაშენება-გამორგვა - 250 ათასი ლარის;
- 38 ჰა-ზე წვეთოვანი სისტემების მონტაჟი - 100 ათასი ლარის;
- შენობების აშენება-შეძენა, მიწების შეძენა - 1,5 მლნ ლარი;
- ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის ეზოს მოპირკეთების სამუშაოები - 250 ათასი ლარი;

სულ ამ პერიოდისათვის დაგეგმილია 4 მლნ ლარამდე ინვესტიციების განხორციელება.

III. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები
საზოგადოების 2017 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის

დახასიათებაწარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით (ლარში):

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	2016	2017
ამონაგები	9,209,954	13,714,558
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,258,256)	(5,842,873)
საერთო მოგება	4,951,698	7,871,685
მზღვეველისაგან მიღებული ანაზღ. ყურძნის	574	335,915
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	530,764
სადისტრიბუციო ხარჯი	(141,440)	(126,557)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,671,478)	(3,466,245)
მ.შ. ცვეთა და ამორტიზაცია	(219,680)	(214,323)
ხელფასი	(1,518,285)	(5,842,873)
მოგება საკურსო სხვაობიდან	280,951	207,486
წმინდა ფინანსური ხარჯი	(49,134)	(27,130)
მოგება დაბეგვრამდე	2,371,171	5,325,918

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	2016	2017
მოგების გადასახადის ხარჯი	(433,551)	-
წლიური მოგება	1,937,620	5,325,918
საბაზისო მოგება ერთ აქციაზე	43,058	118,353

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, რეალიზაცია, სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება და ელენერგიის წარმოება. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობააზორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2017 წელს ამონაგებმა შეადგინა 13,714.6 ათასი ლარი, რაც 4,504.6 ათასი ლარით მეტია 2016 წელთან შედარებით.

ამონაგები 2017 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. გადატვირთული (რეალიზებული) პროდუქციის რაოდენობის ზრდა;
2. მოძიებულ იქნა ახალი საექსპორტო სავაჭრო პარტნიორები;
3. გაიზარდა ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის გაყიდვა, რომელშიც უდიდეს წილს შეადგენს დვინის სახლიდან ტურისტულ ნაკადებზე გაყიდული პროდუქციის ღირებულება

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა, ლარი
მაჩვენებლები

	2017	2016
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	18,417,060	17,827,295
საინვესტიციო ქონება	150,700	150,700
არამატერიალური აქტივები	19,603	23,065
	18,587,363	18,001,060
მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები	112,892	40,476
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,029,164	7,205,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,959,115	5,169,205
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,424,573	207,875
	17,525,744	12,623,344
სულ აქტივები	36,113,107	30,624,404
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	2,361,000	2,361,000
გაუნაწილებელი მოგება	29,637,184	24,311,266
	31,998,184	26,672,266
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	726,663	787,148
	726,663	787,148
მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	1,538,235	776,478
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,850,025	2,388,512
	3,388,260	3,164,990
სულ ვალდებულებები	4,114,923	3,952,138
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	36,113,107	30,624,404

საზოგადოების საბრუნავი აქტივები გაიზარდა 4,902.4 ათასი ლარით.

ვალდებულება კრედიტორული დავალიანების მიხედვით შემცირდა 538.5 ათასი ლარის ოდენობით.

2017 წლის ბოლოსათვის სს კორპორაცია „ქინძმარაულის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 36,113.1 ათასი ლარი, 2016 წელში კი - 30,624.4 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 5,488.7 ათასი ლარით ძირითადი საშუალებების ზრდის და გაუნაწილებელი მოგების შედეგად.

საზოგადოებისლიკვიდურობისმაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1,7	2,8
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	3,9	5,17

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 1,7-დან 2,8-მდე. მოცემული მაჩვენებლის ზრდა არის დადებითი მაჩვენებელი საწარმოსათვის, რომელზეც ძირითადად იმოქმედა საბანკო ანგარიშებზე არსებულმა ფულადმა სახსრებმა.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 3,9-დან 5,17-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის გაზრდას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის გაზრდა ასევე განპირობებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაზრდით და მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირებით.

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
გაყიდვების რენტაბელობა	21.04%	38.8%

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლებიდან განვიხილოთ გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებელი, რომელიც 2017 წელს შეადგენდა 38.8, 2016 წელს 21.04, მაჩვენებლის ზრდა დაკავშირებულია საზოგადოების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მოგების მაჩვენებლის გაზრდით.

საზოგადოების საქმიანობის 2017 წლის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად.

	2016	2017
ღვინის და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	7,824,710	12,274,570
ჰოტელის და რესტორნის შემოსავალი	607,470	785,001
ელექტროენერგიის რეალიზაცია	554,210	331,213
სხვა	223,564	323,774
	9,209,954	13,714,558

აქედან აღსანიშნავია ღვინის რეალიზაცია ქვეყნების მიხედვით ლარში:

	2016	2017
საქართველო	1,675,026	3,730,288
უკრაინა	1,649,215	1,856,307
ყაზახეთი	1,009,226	904,325
ბელორუსია	793,950	1,428,928
იაპონია	601,190	525,535
რუსეთი	598,621	797,798
აშშ	556,911	423,834
ევროკავშირი	463,736	631,959
კანადა	298,874	492,929
ჩინეთი	177,961	1,482,667

ბოთლის რაოდენობის გადატვირთვების მიხედვით წარმოვადგენთ შემდეგ სტატისტიკურ ინფორმაციას:

	2016	2017	ზრდა, შემცირება%
უკრაინა	377,010	403,946	7.1%
აშშ	61,398	50,580	-17.6%
ბელორუსია	94,644	172,242	82.0%
ყაზახეთი	214,872	167,628	-22.0%
რუსეთი	95,424	105,626	10.7%
ჩინეთი	30,600	213,990	599.3%
კანადა	51,672	74,880	44.9%
იაპონია	61,860	56,520	-8.6%
ევროპა	77,700	97,734	25.8%
სულ ექსპორტი	1,065,180	1,343,146	26.1%
ადგილობრივი ბაზარი	156,427	237,973	52.1%
სულ წელში	1,221,607	1,581,119	29.4%

მოგების მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე ასევე წარმოგიდგენთ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,361,000	22,373,646	24,734,646
წლიური მოგება	-	1,937,620	1,937,620
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,361,000	24,311,266	26,672,266
წლიური მოგება	-	5,325,918	5,325,918
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,361,000	29,637,184	31,998,184

IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების დაფუძნადინა კადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

სს კორპორაცია ქინძმარაულის „ ძირითადი საქმიანობაა ალკოჰოლური სასმელების წარმოება-რეალიზაცია, სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობა და ელენერგიის წარმოება.

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს , რომლებსაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე , შემდეგია:

დარგობრივი რისკები.დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ყურძნის შესყიდვასთან დაკავშირებით სუბსიდიების დაშვება ან გაუქმება, რომელიც საბოლოოდ შესასყიდი ფასის მკვეთრ ცვალებადობას იწვევს ერთი სეზონის განმავლობაში.

აგრეთვე ელენერგიის ტარიფებთან დაკავშირებით დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის(სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს ჰესის მიმდინარე ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 27.12.2017 წ. №48 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 04.12.2008წ. დადგენილებაში №33 “ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან დადგინდა ახალი ტარიფები ელექტროენერგიის განაწილებაზე, გატარებასა და მოხმარებაზე.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელსაც საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის

გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარის საგანგანსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე საზოგადოების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

საკრედიტო რისკები. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს აუცილებელი თანხების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას. ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. პრობლემური დებიტორების დროული იდენტიფიცირების და დავალიანებისთვის სათანადო რეზერვების შექმნის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობა ახორციელებს რეზერვების კონსერვატიულ პოლიტიკას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების დაფარვის ტემპები დამოკიდებულია შიდა და გარე პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს დებიტორული დავალიანების ღირებულების შემცირებისთვის შექმნილ რეზერვის თანხაზე მეტი თანხის დანაკარგის არსებითი რისკი. კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული რამოდენიმე მესყიდველით.

ზედმეტი ნაღდი ფული თავსდება ფინანსურ დაწესებულებებში, რომელთაც თანხების განთავსების მომენტისთვის გააჩნიათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

საბაზრო რისკები. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო დასპეციფიკური რყევების ზემოქმედებას. სავალუტო რისკი წარმოიქმნება ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შესაძლო ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს, რაც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე.

ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდაკონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა. რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:
 - არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებების არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;
 - სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;
 - უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;
 - შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, ვალდებულება, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
 - სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით დაპირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;
 - წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.
2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსურ ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.
3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

V. ანგარიშის საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისა აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2017 წელში საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად არ გადაწყვეტილა ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გადახდა.

VI. საზოგადოების აქციოკაპიტალის სტრუქტურა

სსკორპორაცია „ქინძმარაულის“ სააქციოკაპიტალი შეადგენს 2,361,000 ლარს და დაყოფილია 45,000 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 52,47 ლარი თითოეული.

კომპანიის აქციონერები არიან:

	2017	2016
თამაზ კონჭოშვილი	43.21%	43.21%
ეკატერინე ამირანაშვილი	23.91%	23.91%
სიმონ ტუგუნიძე	11.38%	11.38%
ალექსანდრე ბილანიშვილი	9.35%	9.35%
ელგუჯა ცირიკაშვილი	5.93%	5.93%
სხვა აქციონერები	6.22%	6.22%
	100.00%	100.00%

VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების დამათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციონერებთან დაკავშირებით ინფორმაციული პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას.

აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით.

აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესამღებელია გამოაცხადოს აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდის თაობაზე, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით, მათი უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

სს კორპორაცია „ქინძმარაულის“ გენ. დირექტორი:



/ნ.ქსოვრელი/